

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

ამ წესის მიზანია საქართველოს საჰაერო სივრცისა და ღია ზღვის თავზე არსებული საჰაერო სივრცის, სადაც საჰაერო მოძრაობის მომსახურებას საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფს, საჰაერო სივრცის სტრუქტურისა და კლასიფიკაციის, საჰაერო მარშრუტების, სტანდარტული სამიმოსვლო მარშრუტების, შესაბამისი წერტილების და მინიმალური სიმაღლეების განსაზღვრა, მათი დადგენის წესისა და პირობების მოწესრიგება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

- ა) **ზონალური ნაოსნობა (RNAV)** – აერნაოსნობის მეთოდი, რომელიც საშუალებას აძლევს საჰაერო ხომალდს, ფრენა განახორციელოს ნებისმიერი სასურველი ტრაექტორიით, სახმელეთო ან სათანამგზავრო სანავიგაციო საშუალებების მოქმედების არეში ან ავტონომიური საშუალებების შესაძლებლობების ფარგლებში, ან მათი კომბინაციით;
- ბ) **ზონალური ნაოსნობის (RNAV) მარშრუტი** – სმმ-ს მარშრუტი, რომელიც დგინდება საჰაერო ხომალდების ფრენისთვის, ზონალური ნაოსნობის გამოყენების მიზნით;
- გ) **მოთხოვნილი სააერნაოსნო მახასიათებლები (RNP)** – სააერნაოსნო მახასიათებლების ჩამონათალი, რომელიც აუცილებელია დადგენილი საჰაერო სივრცის ფარგლებში ფრენის შესასრულებლად. სააერნაოსნო მახასიათებლები და მოთხოვნები განისაზღვრება კონკრეტული ტიპის RNP-თვის და/ან კონკრეტული გამოყენებისთვის;
- დ) **სააეროდრომო მოძრაობის არე (ATZ)** – განსაზღვრული ზომის საჰაერო სივრცე აეროდრომის ირგვლივ, რომელიც განკუთვნილია უსაფრთხო სააეროდრომო მოძრაობის უზრუნველსაყოფად;
- დ<sup>1</sup>) **სააეროდრომო საფრენოსნო საინფორმაციო არე (AFIZ)** – დადგენილი ზომის საჰაერო სივრცე აეროდრომის ირგვლივ, სადაც ხორციელდება სააეროდრომო საფრენოსნო-საინფორმაციო მომსახურება და საავარიო მომსახურება;
- ე) **საავარიო მომსახურება** – მომსახურება, გაწეული შესაბამისი ორგანიზაციების შეტყობინების მიზნით, იმ საჰაერო ხომალდის შესახებ, რომელიც საჭიროებს საძებნ-სამაშველო მომსახურებას და საჭიროებისამებრ, ამ ორგანიზაციების ხელშეწყობა;
- ვ) **საკვანძო სამეთვალყურეო რაიონი** – სამეთვალყურეო რაიონი, რომელიც ჩვეულებრივ მდებარეობს სმმ-ს მარშრუტების თავმოყრის ადგილებში, ერთი ან რამდენიმე აეროდრომის შემოგარენში;
- ზ) **სამეთვალყურეო არე (CTR)**- მიწის ზედაპირიდან დადგენილ ზედა საზღვრამდე გადაჭიმული კონტროლირებადი საჰაერო სივრცე;

- თ) **სამეთვალყურეო რაიონი (CTA)** – მიწის ზედაპირიდან დადგენილი საზღვრის ზემოთ არსებული კონტროლირებადი საჰაერო სივრცე;
- ი) **საფრენოსნო ინფორმაციის რაიონი (FIR)** – დადგენილი ზომის საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საფრენოსნო-საინფორმაციო მომსახურება და საავარიო შეტყობინება;
- კ) **საფრენოსნო საინფორმაციო არე (FIZ)** – დადგენილი ზომის საჰაერო სივრცე, სადაც ხორციელდება საფრენოსნო-საინფორმაციო მომსახურება და საავარიო მომსახურება;
- ლ) **საფრენოსნო-საინფორმაციო მომსახურება (FIS)** – მომსახურება, გაწეული რეკომენდაციების და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, უსაფრთხო და ეფექტური ფრენების განსახორციელებლად;
- მ) **საჰაერო მოძრაობის მომსახურება (სმმ)** – ზოგადი ტერმინი, რომელიც შესაბამის შემთხვევებში ნიშნავს: საფრენოსნო-საინფორმაციო მომსახურებას, საავარიო მომსახურებას, საჰაერო მოძრაობის საკონსულტაციო მომსახურებას, საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურებას (რაიონული სამეთვალყურეო მომსახურება, მისადგომის სამეთვალყურეო მომსახურება ან სააეროდრომო სამეთვალყურეო მომსახურება);
- ნ) **საჰაერო მოძრაობის მომსახურების (სმმ) მარშრუტი** – საჰაერო მოძრაობის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი მარშრუტი, რომელიც განკუთვნილია მოძრაობის ნაკადების მისამართად;
- შენიშვნა 1.** ტერმინი „სმმ-ის მარშრუტი“ შესაბამის შემთხვევებში აღნიშნავს საჰაერო ტრასას, საკონსულტაციო მარშრუტს, კონტროლირებად ან არაკონტროლირებად მარშრუტს, მოფრენის ან გაფრენის მარშრუტს და ა.შ.
- შენიშვნა 2.** სმმ-ის მარშრუტი განისაზღვრება სამარშრუტო ტექნიკური მოთხოვნებით, რომელიც შეიცავს სმმ-ის მარშრუტის ინდექსს, მიმართულების ხაზს ძირითად წერტილებამდე (მიმართულების წერტილებამდე) ან საპირისპირო მიმართულებით, მანძილს ძირითად წერტილებს შორის, მოთხოვნებს შეტყობინებათა გადაცემაზე, ასევე სმმ-ის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი, ყველაზე ქვედა უსაფრთხო აბსოლუტურ სიმაღლეს.
- ო) **საჰაერო მოძრაობის საკონსულტაციო მომსახურება** – მომსახურება საკონსულტაციო საჰაერო სივრცეში სფწ-ით ფრენისას საჰაერო ხომალდების ოპტიმალური ეშელონირების უზრუნველსაყოფად;
- პ) **საჰაერო ტრასა** – კონტროლირებადი საჰაერო სივრცე ან მისი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია დერეფნის სახით;
- ჟ) **საჰაერო მოძრაობის მომსახურების (სმმ) საჰაერო სივრცე** – განსაზღვრული ზომის საჰაერო სივრცე ანბანური აღნიშვნით, რომლის ფარგლებშიც შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული სახის ფრენები და რომლისთვისაც განსაზღვრულია საჰაერო მოძრაობის მომსახურების და ფრენის წესები;
- რ) **სპეციალური დანიშნულების საჰაერო სივრცე** – სახელმწიფოს ტერიტორიის ან

ტერიტორიული წყლების თავზე არსებული, დადგენილი ზომის საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებში დადგენილია ფრენისთვის სპეციალური მოთხოვნები ან შეზღუდვები;

- ს) **ფრენებისთვის აკრძალული არე** – სახელმწიფოს ტერიტორიის ან ტერიტორიული წყლების თავზე არსებული, დადგენილი ზომის საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც საჰაერო ხომალდის ფრენა აკრძალულია;
- ტ) **ფრენისათვის სახიფათო არე** – დადგენილი ზომის საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიძლება განხორციელდეს საჰაერო ხომალდების ფრენისათვის სახიფათო საქმიანობა;
- უ) **ფრენისათვის შეზღუდული არე** – სახელმწიფოს ტერიტორიის ან ტერიტორიული წყლების თავზე არსებული, დადგენილი ზომის საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებში საჰაერო ხომალდის ფრენა შეზღუდულია გარკვეული პირობებით;
- ფ) **ღია ზღვის თავზე საჰაერო სივრცე** – საქართველოს სახმელეთო ტერიტორიისა და მასთან მიმდებარე შავი ზღვის ტერიტორიული წყლების მიღმა საჰაერო სივრცე, რომელიც არც ერთი ქვეყნის იურისდიქციაში არ შედის;
- ქ) **ძირითადი წერტილი** – გეოგრაფიული ადგილი, რომელიც გამოიყენება სმმ-ს მარშრუტის, საჰაერო ხომალდის ფრენის ტრაექტორიის განსასაზღვრავად და ნაოსნობისა და სმმ-ს სხვა მიზნებისათვის.

**შენიშვნა:** ამ წესის მიზნებისთვის არსებობს სამი სახის ძირითადი წერტილი: სახმელეთო სააერონაოსნო საშუალება, გადაკვეთის წერტილი და მარშრუტის წერტილი.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №618 – ვებგვერდი, 09.10.2020წ.*

## **თავი II. საჰაერო სივრცის სტრუქტურა და კლასიფიკაცია**

### **მუხლი 3. საჰაერო სივრცის სტრუქტურა**

1. საქართველოს საჰაერო სივრცე და ღია ზღვის თავზე არსებული საჰაერო სივრცე, სადაც საჰაერო მოძრაობის მომსახურებას უზრუნველყოფს საქართველო, მოიცავს სმმ-ს საჰაერო სივრცეს და სპეციალური დანიშნულების საჰაერო სივრცეს.
2. სმმ-ს საჰაერო სივრცე მოიცავს:
  - ა) საფრენოსნო ინფორმაციის რაიონს;
  - ბ) სამეთვალყურეო რაიონს (ზედა საჰაერო სივრცის სამეთვალყურეო რაიონი, ქვედა საჰაერო სივრცის სამეთვალყურეო რაიონი, საკვანძო სამეთვალყურეო რაიონი);
  - გ) სამეთვალყურეო არეებს;
  - დ) სააეროდრომო მოძრაობის არის;
  - ე) საფრენოსნო საინფორმაციო არის;
  - ვ) სააეროდრომო საფრენოსნო საინფორმაციო არეს.
3. სპეციალური დანიშნულების საჰაერო სივრცე მოიცავს:

ა) ფრენისათვის აკრძალულ არის;

ბ) ფრენისათვის შეზღუდულ არის;

გ) ფრენისათვის სახიფათო არის;

დ) სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით დადგენილ სხვა არეებს.

4. სმმ-ს საჰაერო სივრცეში ფრენის პირობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, ამასთან, ფრენის უსაფრთხოების, საჰაერო მოძრაობის რეგულირების ან საერთაშორისო შეთანხმებების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ, საჰაერო სივრცეში განისაზღვრება დამატებითი პირობები, რომლებიც სავალდებულოა საჰაერო ხომალდების ფრენისას.

5. საჰაერო სივრცის გვერდითი საზღვრები განისაზღვრება გეოგრაფიულ კოორდინატებში და გამოხატულია გრადუსებში, წუთებსა და წამებში, სადაც საჭიროების შესაბამისად გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი მეთოდები:

ა) მნიშვნელოვანი გეოგრაფიული თავისებურებები (ხაზი ორ გეოგრაფიულ კოორდინატს შორის, სახელმწიფო საზღვარი და ა.შ.);

ბ) გეოგრაფიული კოორდინატის გარშემო რადიუსის მქონე წრე ან წრის ნაწილი.

6. საჰაერო სივრცის ვერტიკალური საზღვრები განისაზღვრება ფარდობითი სიმაღლეებით, აბსოლუტური სიმაღლეებით ან ეშელონებით.

7. საქართველოს საჰაერო სივრცის სტრუქტურა დადგენილია ამ წესის დანართი №6-ით.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №618 – ვებგვერდი, 09.10.2020წ.*

#### **მუხლი 4. საჰაერო სივრცის კლასიფიკაცია**

1. სმმ-ს საჰაერო სივრცეს, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, ენიჭება შემდეგი ერთ-ერთი კლასი:

ა) **A კლასი**, სადაც ნებადართულია მხოლოდ სფწ-ით ფრენა, უზრუნველყოფილია ყველა საჰაერო ხომალდის საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურება და ეშელონირება;

ბ) **B კლასი**, სადაც ნებადართულია როგორც სფწ-ით, ისე ვფწ-ით ფრენა, უზრუნველყოფილია ყველა საჰაერო ხომალდის სამეთვალყურეო მომსახურება და ეშელონირება;

გ) **C კლასი**, სადაც ნებადართულია როგორც სფწ-ით, ისე ვფწ-ით ფრენა. უზრუნველყოფილია ყველა საჰაერო ხომალდის საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურება. სფწ-ით მფრენი საჰაერო ხომალდების ეშელონირება ხორციელდება სფწ-ით და ვფწ-ით მფრენი სხვა საჰაერო ხომალდების მიმართ. ვფწ-ით მფრენი საჰაერო ხომალდების ეშელონირება ხორციელდება სფწ-ით მფრენი საჰაერო ხომალდების მიმართ და მიეწოდება ინფორმაცია ვფწ-ით მიმდინარე ფრენების შესახებ;

დ) **D კლასი**, სადაც ნებადართულია როგორც სფწ-ით, ისე ვფწ-ით ფრენა და ყველა

საპაერო ხომალდი უზრუნველყოფილია საპაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურებით. ხორციელდება სფწ-ით მფრენი საპაერო ხომალდების ეშელონირება სფწ-ით მფრენი სხვა საპაერო ხომალდების მიმართ და ინფორმაცია მიეწოდება ვფწ-ით მიმდინარე ფრენების შესახებ. ვფწ-ით მფრენ საპაერო ხომალდებს მიეწოდებათ ინფორმაცია სხვა საპაერო ხომალდების შესახებ;

ე) **E კლასი**, სადაც ნებადართულია როგორც სფწ-ით, ისე ვფწ-ით ფრენა. უზრუნველყოფილია სფწ-ით მფრენი საპაერო ხომალდების საპაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურება და ეშელონირება სფწ-ით მფრენი სხვა საპაერო ხომალდების მიმართ. ყველა საპაერო ხომალდი, შეძლებისდაგვარად, იღებს ინფორმაციას მოძრაობის შესახებ. E კლასი არ გამოიყენება სამეთვალყურეო არეებში;

ვ) **F კლასი**, სადაც ნებადართულია როგორც სფწ-ით, ისე ვფწ-ით ფრენა. სფწ-ით მიმდინარე ყველა ფრენა უზრუნველყოფილია საპაერო მოძრაობის საკონსულტაციო მომსახურებით და მოთხოვნისას, ყველა საპაერო ხომალდს გაეწევა საფრენოსნო-საინფორმაციო მომსახურება;

ზ) **G კლასი**, სადაც ნებადართულია როგორც სფწ-ით, ისე ვფწ-ით ფრენა და მოთხოვნისას, უზრუნველყოფილია საფრენოსნო-საინფორმაციო მომსახურება.

2. იქ, სადაც სმმ-ს ერთი კლასის საპაერო სივრცე ვერტიკალურ სიბრტყეში ესაზღვრება სმმ-ს მეორე კლასის საპაერო სივრცეს (განთავსებულია ერთიმეორის თავზე), საერთო ეშელონზე ფრენა უნდა განხორციელდეს იმ მოთხოვნების დაცვით, რომელიც დადგენილია ნაკლებად მკაცრი მოთხოვნების მქონე საპაერო სივრცისთვის და უნდა გაეწიოს შესაბამისი მომსახურება.

**შენიშვნა:** ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ცალკეული კლასის მიმართ დამატებითი მოთხოვნები მოცემულია ამ წესის დანართი №1-ში.

### თავი III. საპაერო მოძრაობის მომსახურების საპაერო სივრცე

#### მუხლი 5. საფრენოსნო ინფორმაციის რაიონი

1. საპაერო სივრცის ის ნაწილი, სადაც უზრუნველყოფილია საფრენოსნო-საინფორმაციო და საავარიო მომსახურება უნდა განისაზღვროს, როგორც საფრენოსნო ინფორმაციის რაიონი.
2. საფრენოსნო ინფორმაციის რაიონი უნდა დადგინდეს იმგვარად, რომ სრულად მოიცავდეს მარშრუტის სტრუქტურას, რომელსაც ემსახურება აღნიშნული რაიონი და მისი დადგენა უნდა ეფუძნებოდეს არსებული და სამომავლო საპაერო ტრასების სტრუქტურას, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს საპაერო მოძრაობის მომსახურებასთან დაკავშირებული შესაძლებლობები.
3. საფრენოსნო ინფორმაციის რაიონი მოიცავს საპაერო სივრცეს საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში და ღია ზღვის თავზე საპაერო სივრცეს, სადაც საპაერო მოძრაობის მომსახურებას საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფს.
4. ღია ზღვის თავზე არსებული საპაერო სივრცე მოიცავს იმ საპაერო სივრცეს, რომელიც დგინდება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ

რეგიონალური სააერნაოსნო ხელშეკრულებით.

5. საფრენოსნო ინფორმაციის რაიონის ზედა საზღვარი განისაზღვრება იმ სიმაღლით, სადამდეც ხორციელდება საფრენოსნო-საინფორმაციო და საავარიო მომსახურება.
6. საფრენოსნო ინფორმაციის რაიონის ფარგლებში დაწესებული სამეთვალყურეო რაიონი და სამეთვალყურეო არე წარმოადგენს საფრენოსნო ინფორმაციის რაიონის შემადგენელ ნაწილს.
7. საფრენოსნო ინფორმაციის რაიონი იდენტიფიცირებული უნდა იყოს იმ საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოს სახელით, რომლის იურისდიქცია ვრცელდება ამ რაიონის საჰაერო სივრცეზე.

## **მუხლი 6. სამეთვალყურეო რაიონი**

1. საჰაერო სივრცის ნაწილი, სადაც უზრუნველყოფილია სფწ-ით მიმდინარე ფრენების სამეთვალყურეო მომსახურება, განისაზღვრება როგორც სამეთვალყურეო რაიონი.
2. საჰაერო სივრცის ნაწილი, სადაც უზრუნველყოფილია სფწ-სთან ერთად ვფწ-ით მიმდინარე ფრენების სამეთვალყურეო მომსახურება, აღინიშნება როგორც B, C ან D კლასის საჰაერო სივრცე.
3. საჰაერო სივრცის ის ნაწილი, სადაც დადგენილია სფწ-ით მიმდინარე ფრენების სამეთვალყურეო მომსახურება, განისაზღვრება როგორც:
  - ა) სამეთვალყურეო რაიონი ან/და ზედა საჰაერო სივრცის სამეთვალყურეო რაიონი, თუ საჭიროა რაიონული სამეთვალყურეო მომსახურება;
  - ბ) საკვანძო სამეთვალყურეო რაიონი, თუ საჭიროა მისადგომის სამეთვალყურეო მომსახურება სმმ-ს მარშრუტების თავმოყრის ადგილებში, ერთი ან რამდენიმე აეროდრომის შემოგარენში.
4. სამეთვალყურეო რაიონი, მათ შორის, საკვანძო-სამეთვალყურეო რაიონი და საჰაერო ტრასა უნდა მოიცავდეს საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურების გაწევისთვის საკმარის სივრცეს, ამ რაიონში გამოყენებული სანავიგაციო მომსახურებასთან დაკავშირებულ ტექნიკური საშუალებების შესაძლებლობების გათვალისწინებით.
5. სამეთვალყურეო რაიონის ზედა საზღვარი განისაზღვრება იმ სიმაღლით, სადამდეც ხორციელდება საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურება.
6. იქ, სადაც სამეთვალყურეო რაიონი მდებარეობს ზედა საჰაერო სივრცის სამეთვალყურეო რაიონის ქვევით, სამეთვალყურეო რაიონის ზედა საზღვარი ემთხვევა ზედა საჰაერო სივრცის სამეთვალყურეო რაიონის ქვედა საზღვარს, რომელიც შეესაბამება ვფწ-ით ფრენის საკრეისერო ეშელონს.
7. სამეთვალყურეო რაიონის ქვედა ზღვარი უნდა დაწესდეს:
  - ა) სფწ-ით ფრენის ტრაექტორიის მინიმუმ 500 ფუტით ქვევით;
  - ბ) მიწის ან წყლის ზედაპირიდან არანაკლებ 700 ფუტის სიმაღლეზე.

8. შესაძლებლობის შემთხვევაში, ვფწ ფრენების მოქმედების თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, სამეთვალყურეო რაიონის ქვედა ზღვარი უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულ სიმაღლეს.
9. თუ სამეთვალყურეო რაიონის ქვედა ზღვარი გადის ზღვის საშუალო დონიდან 3000 ფუტს ზემოთ, აღნიშნული ზღვარი უნდა ემთხვეოდეს ვფწ-ით ფრენის ეშელონს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც გასაკუთრებული საჭიროებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია განსხვავებული ეშელონის დაწესება.
10. თუ სამეთვალყურეო რაიონის ქვემოთ არსებული საჰაერო სივრცის ნაწილი განსაზღვრულია როგორც სხვა სამეთვალყურეო რაიონი, ქვედა სამეთვალყურეო რაიონის ზედა საზღვარი შეიძლება გაფართოვდეს უშუალოდ მის თავზე არსებული სამეთვალყურეო რაიონის ქვედა საზღვრამდე.
11. სამეთვალყურეო რაიონი იდენტიფიცირებული უნდა იყოს იმ საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოს სახელით, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ რაიონის საჰაერო სივრცეში.

## **მუხლი 7. სამეთვალყურეო არე**

1. საჰაერო სივრცის ის ნაწილი, სადაც უზრუნველყოფილია სფწ-ით მფრენი საჰაერო ხომალდების სამეთვალყურეო მომსახურება, რომლებიც ფრენას ახორციელებენ სახელსაწყო მეტეოპირობებში გამოსაყენებლად განკუთვნილ აეროდრომზე, განისაზღვრება როგორც სამეთვალყურეო არე.
2. საჰაერო სივრცის ნაწილი, სადაც უზრუნველყოფილია სფწ-სთან ერთად ვფწ-ით მიმდინარე ფრენების სამეთვალყურეო მომსახურება, აღინიშნება როგორც B, C ან D კლასის საჰაერო სივრცე.
3. სამეთვალყურეო არე უნდა იყოს იმდენად მცირე ზომის, რაც პრაქტიკულად საჭიროა აეროდრომზე სფწ-ით მომფრენი და გამფრენი საჰაერო ხომალდების ფრენის ტრაექტორიის დასაცავად.
4. სამეთვალყურეო არის გვერდითი საზღვრები მოიცავს:
  - ა) საჰაერო სივრცის იმ ნაწილს, რომელიც არ შედის სამეთვალყურეო რაიონის საზღვრებში და სადაც გადის სფწ-ით მფრენი საჰაერო ხომალდების ფრენის ტრაექტორია, რომლებიც ახორციელებენ სახელსაწყო მეტეოპირობებში გამოსაყენებლად განკუთვნილ აეროდრომზე მოფრენას ან გაფრენას;
  - ბ) საჰაერო სივრცის იმ ნაწილს, რომელიც შესაბამისი აეროდრომის ან აეროდრომების ცენტრიდან დაშორებულია, სულ მცირე 5 საზ. მილით იმ მიმართულებით, საიდანაც შეიძლება განხორციელდეს დასაფრენად შესვლა.
5. თუ სამეთვალყურეო არე განთავსებულია სამეთვალყურეო რაიონის გვერდითი საზღვრების ფარგლებში, იგი უნდა განისაზღვროს მიწის ზედაპირიდან მინიმუმ სამეთვალყურეო რაიონის ქვედა საზღვრამდე.
6. თუ სამეთვალყურეო არე განთავსებულია სამეთვალყურეო რაიონის გვერდითი საზღვრების გარეთ, უნდა დაწესდეს სამეთვალყურეო არის ზედა საზღვარი.



7. თუ აუცილებელია სამეთვალყურეო არის ზედა საზღვრის დაწესება მის თავზე მდებარე სამეთვალყურეო რაიონის ქვედა საზღვრის ზემოთ ან, თუ სამეთვალყურეო არე განთავსებულია სამეთვალყურეო რაიონის გვერდითი საზღვრების მიღმა, მისი ზედა საზღვარი უნდა დაწესდეს იმ სიმაღლეზე, რომლის განსაზღვრაც ადვილი იქნება პილოტისთვის და თუ, ზედა საზღვარი გადის ზღვის საშუალო დონიდან 3000 ფუტის ზემოთ, იგი უნდა შეესაბამებოდეს ვვფ-ით ფრენის საკრეისერო ეშელონს.
8. სამეთვალყურეო არე იდენტიფიცირებული უნდა იყოს იმ საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოს სახელით, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ რაიონის საჰაერო სივრცეში.
9. სამეთვალყურეო არე შეიძლება მოიცავდეს ერთმანეთთან ახლოს განლაგებულ ორ ან მეტ აეროდრომს.

#### **მუხლი 8. სააეროდრომო მოძრაობის არე**

1. სააეროდრომო მოძრაობის არე დგინდება აეროდრომის ირგვლივ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულ აეროდრომზე მიმდინარე საქმიანობამ (მაგალითად: სასწავლო ფრენები, სპეციალური სამხედრო ფრენები) შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სხვა საჰაერო ხომალდებს, რომლებიც არ მონაწილეობენ აღნიშნულ საქმიანობაში.
2. სააეროდრომო მოძრაობის არე უნდა იყოს იმდენად მცირე ზომის, რაც პრაქტიკულად საჭიროა აეროდრომზე ვვფ-ით მომფრენი და გამფრენი საჰაერო ხომალდების ფრენის ტრაექტორიის დასაცავად.
3. სააეროდრომო მოძრაობის არე იდენტიფიცირებული უნდა იყოს იმ საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოს სახელით, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ რაიონის საჰაერო სივრცეში.

#### **მუხლი 9. სააეროდრომო საფრენოსნო საინფორმაციო არე**

1. საჰაერო სივრცის ის ნაწილი, სადაც უზრუნველყოფილია საფრენოსნო ინფორმაციის სააეროდრომო მომსახურება და ავარიული მომსახურება, უნდა განისაზღვროს როგორც სააეროდრომო საფრენოსნო საინფორმაციო არე.
2. სააეროდრომო საფრენოსნო საინფორმაციო არე უნდა იყოს იმდენად მცირე ზომის, რაც პრაქტიკულად საჭიროა საფრენოსნო ინფორმაციის სააეროდრომო მომსახურების ეფექტიანი გაწევისთვის.
3. სააეროდრომო საფრენოსნო საინფორმაციო არე იდენტიფიცირებული უნდა იყოს იმ საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოს სახელით, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ რაიონის საჰაერო სივრცეში.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №618 – ვებგვერდი, 09.10.2020წ.*

#### **მუხლი 9<sup>1</sup>. საფრენოსნო საინფორმაციო არე**

1. საჰაერო სივრცის ის ნაწილი, სადაც უზრუნველყოფილია საფრენოსნო ინფორმაციის მომსახურება და ავარიული მომსახურება, უნდა განისაზღვროს როგორც საფრენოსნო საინფორმაციო არე.



2. საფრენოსნო საინფორმაციო არე უნდა იყოს იმ ზომის, რაც პრაქტიკულად საჭიროა საფრენოსნო ინფორმაციის მომსახურების ეფექტიანი გაწევისთვის.

3. საფრენოსნო საინფორმაციო არე იდენტიფიცირებული უნდა იყოს იმ საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოს სახელით, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ რაიონის საჰაერო სივრცეში.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება №618 – ვებგვერდი, 09.10.2020წ.*

#### **თავი IV. სპეციალური დანიშნულების საჰაერო სივრცე**

##### **მუხლი 10. ფრენებისთვის აკრძალული არე**

1. ფრენისათვის აკრძალული არე დგინდება იმ შემთხვევაში, როცა ფრენის უსაფრთხოებიდან გამომდინარე საჭიროა აკრძალოს საჰაერო ხომალდის ფრენები შესაბამის არეში.
2. ფრენებისთვის აკრძალული არის დადგენისას:
  - ა) უნდა განისაზღვროს საქმიანობის სახე, რომლისთვისაც დაწესებულია ფრენებისთვის აკრძალული არე;
  - ბ) უნდა განისაზღვროს ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ამ არის ექსპლუატაციაზე;
  - გ) ყოველ არის უნდა მიენიჭოს კოდი „UGP“, რომელსაც მოსდევს ინდივიდუალური სამნიშნა რიცხვი;
  - დ) არ უნდა მოხდეს ინდივიდუალური სამნიშნა რიცხვის დუბლირება.
3. ფრენისათვის აკრძალული არე უნდა დადგინდეს დროებით. დადგენილი ვადის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს აკრძალვის გამომწვევი პირობების არსებობის ვადას.

##### **მუხლი 11. ფრენისათვის შეზღუდული არე**

1. ფრენისათვის შეზღუდული არე დგინდება იმ შემთხვევაში, როცა ფრენის უსაფრთხოებიდან გამომდინარე საჭიროა შეიზღუდოს საჰაერო ხომალდების ფრენები შესაბამის არეში, ამ მუხლით დადგენილი პირობებით.
2. ფრენისათვის შეზღუდული არის დადგენის დროს საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება ჰორიზონტალური ბუფერული ზონა, რათა უზრუნველყოფილი იყოს არამონაწილე საჰაერო ხომალდის უსაფრთხოება, არეში მიმდინარე აქტივობის მიმართ. არეში ფრენითი აქტივობის შემთხვევაში ჰორიზონტალური ბუფერი უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ მონაწილე და არამონაწილე სხ-ებს შორის უზრუნველყოფილი იყოს რადიოლოკაციური ან გეოგრაფიული ეშელონირება თუ არე ესაზღვრება კონტროლირებად საჰაერო სივრცეს, ხოლო არაფრენითი აქტივობის შემთხვევაში ჰორიზონტალური ბუფერის ზომა განისაზღვრება უსაფრთხოების შეფასების დროს.
3. ფრენისათვის შეზღუდული არის დადგენის დროს ასევე განისაზღვრება უსაფრთხოების ვერტიკალური ბუფერი ამ წესის მე-3 დანართში მოცემული

მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. ფრენისათვის შეზღუდული არის დადგენისას:
  - ა) უნდა განისაზღვროს საჰაერო ხომალდის ფრენების შეზღუდვის არეში შესვლის შესაძლებლობა;
  - ბ) უნდა განისაზღვროს საქმიანობის სახე, რომლისთვისაც დაწესებულია ფრენებისთვის შეზღუდული არე;
  - გ) უნდა განისაზღვროს ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ამ არის ექსპლუატაციაზე;
  - დ) ყოველ არის უნდა მიენიჭოს კოდი „UGR“, რომელსაც მოსდევს ინდივიდუალური სამნიშნა რიცხვი;
  - ე) არ უნდა მოხდეს ინდივიდუალური სამნიშნა რიცხვის დუბლირება.
5. დაინტერესებული პირი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას ფრენების შეზღუდულ არეში, ვალდებულია სმმ-ს საწარმოსთან კოორდინირებულად განსაზღვროს ფრენების შეზღუდულ არეში საჰაერო ხომალდის შესვლის, ფრენისა და გამოსვლის პროცედურები და კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს ჰაერსაანაოსნო ინფორმაციის კრებულში ასახვა.
6. თუ ფრენისათვის შეზღუდული არის გააქტიურება უნდა განხორციელდეს NOTAM-ის გამოცემით. დაინტერესებული პირი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას ფრენების შეზღუდვის არეში, ვალდებულია 10 სამუშაო დღით ადრე, დადგენილი ფორმით მიმართოს სააგენტოს.
7. ფრენისათვის შეზღუდული არე უნდა დადგინდეს დროებით. დადგენილი ვადის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს შეზღუდვის გამომწვევი პირობების არსებობის ვადას.

## **მუხლი 12. ფრენისათვის სახიფათო არე**

1. საჰაერო სივრცის ნაწილი განისაზღვრება, როგორც ფრენისათვის სახიფათო არე, რომლის ფარგლებშიც დროის გარკვეულ მონაკვეთებში შეიძლება განხორციელდეს საჰაერო ხომალდების ფრენისათვის სახიფათო საქმიანობა.
2. საჭიროებისამებრ, განხორციელებული აქტივობების ხასიათიდან გამომდინარე, ფრენისათვის სახიფათო არის ირგვლივ შესაბამისი ბუფერული ზონის შექმნა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს უსაფრთხო სივრცე ფრენის უსაფრთხოდ განხორციელებისთვის, აღნიშნულ არეში განხორციელებულ აქტივობას და არის მიღმა განხორციელებულ ფრენებს შორის. ჰორიზონტალური ბუფერის ზომა განისაზღვრება უსაფრთხოების შეფასების დროს.
3. სმმ-ის საჰაერო სივრცეში ჰორიზონტალური ბუფერი განისაზღვრება დადგენილი ჰორიზონტალური ან გეოგრაფიული ეშელონირებით და ვერტიკალური ბუფერი განისაზღვრება ამ წესის მე-3 დანართში მოცემული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
4. ფრენისათვის სახიფათო არის დადგენისას:
  - ა) უნდა განისაზღვროს ის საფრთხეები, რომლისთვისაც ეს არე დგინდება;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, უნდა განსაზღვროს მმართველი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ამ არის ექსპლუატაციაზე და რომელსაც ექნება შესაბამისი საკონტაქტო ცენტრი;

გ) ყოველ არის უნდა მიენიჭოს კოდი „UGD“, რომელსაც მოსდევს ინდივიდუალური სამნიშნა რიცხვი;

ე) არ უნდა მოხდეს ინდივიდუალური სამნიშნა რიცხვის დუბლირება.

5. თუ ფრენისათვის სახიფათო არის გააქტიურება უნდა განხორციელდეს NOTAM-ის გამოცემით დაინტერესებული პირი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას ფრენების სახიფათო არეში, ვალდებულია 10 სამუშაო დღით ადრე, დადგენილი ფორმით მიმართოს სააგენტოს.
6. ფრენისათვის სახიფათო არე უნდა დადგინდეს დროებით. დადგენილი ვადის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სახიფათო პირობების ვადას.

## **თავი V. საჰაერო სივრცის დიზაინი**

### **მუხლი 13. საჰაერო სივრცის დიზაინი, მოთხოვნები სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს მიმართ**

1. საქართველოს საჰაერო სივრცის ფარგლებში, საჰაერო სივრცის ორგანიზებისა და საჰაერო მოძრაობის ნაკადების ორგანიზების გათვალისწინებით, სააერნაოსნო მომსახურების საწარმო ახორციელებს შემდეგი ელემენტების დიზაინს:

ა) სტანდარტული სახელსაწყო გაფრენის და სტანდარტული სახელსაწყო მოფრენის პროცედურები;

ბ) საჰაერო მოძრაობის მომსახურების მარშრუტები;

გ) სმმ-ს მარშრუტების ფრენის მინიმალური აბსოლუტური სიმაღლეები;

დ) საჰაერო ხომალდის გადართვის წერტილები;

ე) საჰაერო ხომალდის სტანდარტული სამიმოსვლო მარშრუტები;

ვ) შეტყობინების გადაცემის ვიზუალური წერტილები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ ელემენტებს ადგენს სააერნაოსნო მომსახურების საწარმო და ამტკიცებს სააგენტო, სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2017 წლის 22 თებერვლის N22 ბრძანებით დამტკიცებული „ფრენის პროცედურების დიზაინის წესის“ შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტის „ბ“-„ვ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ელემენტებს ადგენს სააერნაოსნო მომსახურების საწარმო.

4. ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მიზნით სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს უნდა გააჩნდეს:

ა) ხარისხის მართვის სისტემა;

ბ) საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსები;

გ) კვალიფიციური პერსონალი, რომელსაც:

გ.ა) გავლილი აქვს საჭირო სწავლება, და

- გ.ბ) გააჩნია სახელმძღვანელო მასალები და თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- დ) საჭირო ტექნიკური უზრუნველყოფა, როგორცაა ავტომატიზებული სისტემები, აღჭურვილობა და სხვა;
- ე) „სახელმძღვანელო დოკუმენტი“, რომელიც აღწერს სამსახურის მიერ საჰაერო სივრცის დიზაინის შექმნის პროცესებს და პროცედურებს.

#### **მუხლი 14. სმმ-ს მარშრუტები**

1. სმმ-ის მარშრუტების დადგენისას, სმმ-ს ყოველი მარშრუტის გასწვრივ უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაცული საჰაერო სივრცე და უსაფრთხო დაშორება სმმ-ის მეზობელ მარშრუტებს შორის.
2. სმმ-ის მარშრუტები უნდა აღინიშნოს ამ წესის მე-2 დანართით გათვალისწინებული ინდექსით.
3. საჰაერო ხომალდის მიერ სმმ-ს შესაბამისი მარშრუტებით სარგებლობა დასაშვებია შესაბამისი ინფორმაციის და მონაცემების ჰაერსანაოსნო ინფორმაციის კრებულში გამოქვეყნების შემდეგ.

#### **მუხლი 15. საჰაერო ხომალდის სტანდარტული სამიმოსვლო მარშრუტი**

1. სააერნაოსნო მომსახურების საწარმო აეროდრომის ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირთან შეთანხმებით ადგენს საჰაერო ხომალდის სტანდარტულ სამიმოსვლო მარშრუტებს ასაფრენ-დასაფრენ ზოლს, ბაქნებსა და ტექნიკური მომსახურების არეებს შორის, რომელიც უნდა იყოს შეძლებისდაგვარად სწორხაზოვანი, მარტივი და სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, მარშრუტმა უნდა გაიაროს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული მოძრაობისას კონფლიქტური ვითარების წარმოქმნა.
2. საჰაერო ხომალდის სტანდარტული სამიმოსვლო მარშრუტი უნდა აღინიშნოს ინდექსებით (ლათინური ანბანის ასო), რომელიც მკაფიოდ განსხვავდება ასაფრენ-დასაფრენი ზოლის და სმმ-ს მარშრუტების ინდექსებისგან.

#### **მუხლი 16. საჰაერო ხომალდის გადართვის წერტილი**

1. საჰაერო ხომალდის გადართვის წერტილი უნდა დაწესდეს სმმ-ს მარშრუტების იმ მონაკვეთებზე, რომელიც განსაზღვრულია მეტად მაღალი სიხშირის წრიულ რადიოშუქურაზე (VOR) ორიენტაციით, როდესაც აღნიშნული ხელს უწყობს ზუსტ ნაოსნობას მარშრუტის აღნიშნულ მონაკვეთზე. გადართვის წერტილები უნდა დაწესდეს 60 საზ. მილის ან მეტი სიგრძის მონაკვეთებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სმმ-ს მარშრუტების სირთულის, სააერნაოსნო საშუალებების განთავსების სიმჭიდროვის ან სხვა ტექნიკური და საექსპლუატაციო მიზეზით გამართლებულია გადართვის წერტილების დაწესება უფრო მოკლე მონაკვეთებზე.
2. თუ სააერნაოსნო საშუალებების ტექნიკური მახასიათებლების ან რადიოდაბრკოლებებისგან დაცვის კრიტერიუმების გათვალისწინებით საჰაერო ხომალდის გადართვის წერტილი დადგენილი არ არის სხვა ადგილას, მაშინ მარშრუტის სწორხაზოვან მონაკვეთზე გადართვის წერტილი უნდა განთავსდეს

სააერნაოსნო საშუალებებს შორის შუა წერტილში, ხოლო თუ სააერნაოსნო საშუალებებს შორის მარშრუტის მონაკვეთი არასწორხაზოვანია – რადიალების გადაკვეთის ადგილას.

**შენიშვნა:** სხ-ის გადართვის წერტილების დაწესების შესახებ სახელმძღვანელო მასალა მოცემულია „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-11 დანართის A დამატებაში.

#### **მუხლი 17. სმმ-ს მარშრუტის ძირითადი წერტილი**

1. სმმ-ის მარშრუტის ძირითადი წერტილი უნდა განთავსდეს სმმ-ის მარშრუტის ან დასაფრენად სახელსაწყო შესვლის სქემის განსაზღვრის მიზნით და/ან სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს მიერ სხ-ს ფრენის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების საჭიროებიდან გამომდინარე.
2. სმმ-ის მარშრუტის ძირითადი წერტილი უნდა აღინიშნოს ინდექსით, ამ წესის მე-4 დანართით გათვალისწინებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

#### **მუხლი 18. შეტყობინების გადაცემის ვიზუალური წერტილი**

1. შეტყობინების გადაცემის ვიზუალური წერტილი დგინდება შემდეგი მიზნებისთვის:
  - ა) საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოების ხელშეწყობა სხ-ის ფრენის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად;
  - ბ) ფრენის უსაფრთხო განხორციელების ხელშეწყობა ვიზუალური დაკვირვების მეშვეობით.
2. სააერნაოსნო მომსახურების საწარმომ უნდა უზრუნველყოს, რომ შეტყობინების გადაცემის ვიზუალური პუნქტი:
  - ა) უკავშირდებოდეს გეოგრაფიულ თავისებურებას;
  - ბ) განისაზღვრებოდეს დასახელებით ან აღნიშვნით, რომელიც:
    - ბ.ა) ადვილად ამოსაცნობია ხმოვანი კავშირის წარმოებისას;
    - ბ.ბ) არ გამოიწვევს გაუგებრობას იმავე რაიონში არსებული შეტყობინების გადაცემის სხვა პუნქტის დასახელებას შორის;
    - ბ.გ) არ იწვევს გაურკვევლობას პილოტებს შორის და სმმ-ისა და პილოტს შორის კავშირის წარმოებისას.

#### **მუხლი 19. სმმ-ს მარშრუტების ფრენის მინიმალური აბსოლუტური სიმაღლე**

სმმ-ის ყოველი მარშრუტისა და სამეთვალყურეო რაიონისთვის სააერნაოსნო მომსახურების საწარმო ადგენს და ჰაერსაანაოსნო ინფორმაციის კრებულში აქვეყნებს ფრენის მინიმალურ აბსოლუტურ სიმაღლეებს.

**შენიშვნა 1:** სახელმძღვანელო მასალა დაბრკოლებების გადაფრენის კრიტერიუმების შესახებ მოცემულია იკაო-ს ოფიციალური გამოცემის Doc 8168 „საჰაერო ხომალდების ოპერირება“ მე-2 ტომში.

**შენიშვნა 2:** ტერმინი „ფრენის მინიმალური აბსოლუტური სიმაღლე“ შესაბამის შემთხვევებში შეიძლება აღნიშნავდეს „არეში ფრენის მინიმალურ აბსოლუტურ სიმაღლეს“, „მარშრუტზე ფრენის მინიმალურ აბსოლუტურ სიმაღლეს“ და „სექტორში ფრენის მინიმალურ აბსოლუტურ სიმაღლეს“. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 9 იანვრის ბრძანება №3-ით დამტკიცებულ „საავიაციო რუკების შემუშავების წესში“.

## თავი VI. საჰაერო სივრცის დადგენა და ცვლილება

### მუხლი 20. საჰაერო სივრცის დადგენის წესი

1. საქართველოს საჰაერო სივრცის და ღია ზღვის თავზე არსებული საჰაერო სივრცის, სადაც საჰაერო მოძრაობის მომსახურებას საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფს, სტრუქტურას და კლასიფიკაციას, შეიმუშავებს სააგენტო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.
2. სპეციალური დანიშნულების საჰაერო სივრცე დგინდება შემდეგ შემთხვევებში:
  - ა) როცა ფრენისას საჰაერო ხომალდს მოეთხოვება დაიცვას დამატებითი პროცედურები (მათ შორის ამოცნობის და/ან შეტყობინების სპეციალური პროცედურები), საჰაერო მოძრაობის ჩვეული მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსახორციელებელ პროცედურებთან ერთად;
  - ბ) თუ ამას მოითხოვს ფრენის უსაფრთხოების და საავიაციო უშიშროების ინტერესები, სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესები, ნებისმიერი სხვა საჯარო ინტერესი ან საერთაშორისო ვალდებულებები.

### მუხლი 21. საჰაერო სივრცის ცვლილების პროექტის მომზადება

1. საჰაერო სივრცის ცვლილების პროექტის მომზადების დაწყების თაობაზე განცხადების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს საჰაერო სივრცის განვითარების/გამოყენების ინტერესი (დაინტერესებული პირი).
2. დაინტერესებული პირი ვალდებულია საჰაერო სივრცის ცვლილების შესახებ განაცხადი წარადგინოს სააგენტოში, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის მე-5 დანართით დადგენილ მოთხოვნებს.
3. საჭიროების შემთხვევაში, განცხადების განხილვის პროცესში სააგენტოს მიერ შესაძლებელია ჩართულ იქნეს ის პირები, რომელთა მონაწილეობა აუცილებელია დაინტერესებული პირის მიერ დასმულ საკითხზე სრულფასოვანი კონსულტაციის გასაწევად და გადაწყვეტილების მისაღებად.
4. დაინტერესებულ პირი ვალდებულია სააგენტოს წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:
  - ა) საჰაერო სივრცის შემოთავაზებული ცვლილების ფარგლები;
  - ბ) ცვლილების აღწერილობა;
  - გ) საფრთხეების იდენტიფიცირება;
  - დ) რისკის შემცირების ღონისძიებები;

- ე) ცვლილების დანერგვის გეგმა;
- ვ) გამტარუნარიანობის ანალიზი (საჭიროების შემთხვევაში);
- ზ) გარემოზე ზემოქმედების კვლევა (საჭიროების შემთხვევაში).

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია არ მოითხოვება, თუ ცვლილება გულისხმობს წერტილების, მარშრუტების, რაიონებისა და არეების დასახელებების შეცვლას, აგრეთვე, ისეთი უმნიშვნელო ცვლილება, რომელიც არ ახდენს გავლენას მეზობელ სააერონავიგაციო მომსახურების საწარმოზე ან სხვა დაინტერესებული პირის კანონიერ ინტერესებზე.
6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოს წარედგინება განაცხადის წარდგენიდან 6 თვის ვადაში.
7. სააგენტო საჰაერო სივრცის ცვლილების პროექტს აფასებს და წარუდგენს საჰაერო სივრცის სამოქალაქო-სამხედრო მუდმივმოქმედ კომიტეტს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 22. ღია ზღვის თავზე საჰაერო სივრცის ცვლილება**

ღია ზღვის თავზე საჰაერო სივრცის, ასევე სმმ-ს მარშრუტების ცვლილებას, სადაც საჰაერო მოძრაობის მომსახურებას საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფს, სააგენტო ათანხმებს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ICAO, EUR/NAT).

**დანართი 1. სმმ-ის საჰაერო სივრცის კლასები, მომსახურება და ფრენებისადმი წაყენებული მოთხოვნები**

კლასი	ფრენის სახეობა	ემელონირება	მომსახურება	სიჩქარის შეზღუდვა *	მოთხოვნები რადიო კავ.	სამეთვალყურეო ნებართვა
A	მხოლოდ სფწ-ით	ყველა სხ-ის	საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურება	შეზღუდვები არ არის	ორმხრივი უწყვეტი რადიოკავშირი	სავალდებულოა
	სფწ-ით	ყველა სხ-ის	საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურება	შეზღუდვები არ არის	ორმხრივი უწყვეტი რადიოკავშირი	სავალდებულოა
B	ვფწ-ით	ყველა სხ-ის	საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურება	შეზღუდვები არ არის	ორმხრივი უწყვეტი რადიოკავშირი	სავალდებულოა
	სფწ-ით	სფწ-თან მიმართებით სფწ-თან მიმართებით	საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურება	შეზღუდვები არ არის	ორმხრივი უწყვეტი რადიოკავშირი	სავალდებულოა
C	ვფწ-ით	ვფწ-თან მიმართებით	1.საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურება, სფწ-თან ემელონირებისათვის 2.ინფორმაცია მოძრაობაზე (მოთხოვნისდა მიხედვით, რეკომენდაციები შეჯახების აცილებაზე)	250 კვანძი სახელსაწყო სიჩქარე 10 000 ფუტის სიმაღლის ქვემოთ	ორმხრივი უწყვეტი რადიოკავშირი	სავალდებულოა
	სფწ-ით	სფწ-თან მიმართებით	საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო მომსახურება	შეზღუდვები არ არის	ორმხრივი უწყვეტი რადიოკავშირი	სავალდებულოა



<b>D</b>	სფწ-ით	სფწ შეფარდე- ბით	საჭაერო სამეთვალყურეო მომსახურება, ინფორმაცია ფრენებზე (მოთხოვნისდა მიხედვით, რეკომენდაციები შეჯახების აცილებაზე)	მომძრაობის	250 სახელსაწყო სიჩქარე 10 000 ფუტის სიმაღლის ქვემოთ	კვანძი	ორმხრივი უწყვეტი რადიოკავშირი	სავალდებულოა
	ვფწ-ით	არ იწარმოება	ინფორმაცია და ფრენებზე (მოთხოვნისდა მიხედვით, რეკომენდაციები შეჯახების აცილებაზე)	სფწ/ვფწ	250 სახელსაწყო სიჩქარე 10 000 ფუტის სიმაღლის ქვემოთ	კვანძი	ორმხრივი უწყვეტი რადიოკავშირი	სავალდებულოა
<b>E</b>	სფწ-ით	სფწ შეფარდე- ბით	საჭაერო სამეთვალყურეო მომსახურება, შემღებისდაგვარად, ინფორმაცია ფრენებზე	მომძრაობის	250 სახელსაწყო სიჩქარე 10 000 ფუტის სიმაღლის ქვემოთ	კვანძი	ორმხრივი უწყვეტი რადიოკავშირი	სავალდებულოა
	ვფწ-ით	არ იწარმოება	შემღებისდაგვარად, ინფორმაცია ფრენებზე		250 სახელსაწყო სიჩქარე 10 000 ფუტის სიმაღლის ქვემოთ	კვანძი	ორმხრივი რადიო და/ან სხვა კავშირის საშუალებით	არ არის სავალდებულოა
<b>F</b>	სფწ-ით	შემღების- დაგვარად, სფწ შეფარდე- ბით	საჭაერო საკონსულტაციო მომსახურება.  საფრენოსნო- საინფორმაციო მომსახურება	მომძრაობის	250 სახელსაწყო სიჩქარე 10 000 ფუტის სიმაღლის ქვემოთ	კვანძი	ორმხრივი უწყვეტი რადიოკავშირი	არ არის სავალდებულოა
	ვფწ-ით	არ იწარმოება	საფრენოსნო- საინფორმაციო მომსახურება		250 სახელსაწყო სიჩქარე 10 000 ფუტის სიმაღლის ქვემოთ	კვანძი	ორმხრივი რადიო და/ან სხვა კავშირის საშუალებით	არ არის სავალდებულოა
<b>G</b>	სფწ-ით ფრენა	არ იწარმოება	საფრენოსნო- საინფორმაციო მომსახურება		250 სახელსაწყო სიჩქარე 10 000 ფუტის სიმაღლის ქვემოთ	კვანძი	ორმხრივი უწყვეტი რადიოკავშირი	არ არის სავალდებულოა
	ვფწ-ით ფრენა	არ იწარმოება	საფრენოსნო- საინფორმაციო მომსახურება		250 სახელსაწყო სიჩქარე 10 000 ფუტის სიმაღლის ქვემოთ	კვანძი	ორმხრივი რადიო და/ან სხვა კავშირის საშუალებით	არ არის სავალდებულოა

\* როდესაც ზღვის საშუალო დონიდან გადასვლის აბსოლუტური სიმაღლე 10 000 ფუტზე ნაკლებია, 10 000 ფუტის მაგივრად გამოყენებული უნდა იქნეს ფრენის ეშელონი 100.

## დანართი 2. სმმ-ს მარშრუტების აღნიშვნის ინდექსი

### 1. სმმ-ს მარშრუტების და სააერნაოსნო სპეციფიკაციების ინდექსები

1.1. სმმ-ს მარშრუტ(ებ)ის ცალკეულ მონაკვეთ(ებ)ზე, მარშრუტებზე ან სმმ-ს კონკრეტულ რაიონში სმმ-ს მარშრუტების ინდექსების და სააერნაოსნო სპეციფიკაციების სისტემის მიზანს წარმოადგენს შესაძლებლობა, მისცეს როგორც პილოტებს, ისე სმმ-ს ორგანოს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად:

- ა) ზუსტად მიუთითონ სმმ-ს ნებისმიერი მარშრუტი, მის ასაღწერად გეოგრაფიული კოორდინატების ან სხვა რაიმე საშუალების მითითების გარეშე;
- ბ) მიზანშეწონილობის შემთხვევაში, სმმ-ს მარშრუტი დაუკავშიროს საჰაერო სივრცის კონკრეტულ ვერტიკალურ სტრუქტურას;
- გ) მიუთითოს მოთხოვნილი სააერნაოსნო მახასიათებლების შენარჩუნების მოთხოვნილი სიზუსტის დონე მარშრუტზე ფრენისას ან სმმ-ს კონკრეტული რაიონის ფარგლებში;
- დ) მიუთითოს, რომ მარშრუტი გამოიყენება ძირითადად ან მხოლოდ გარკვეული ტიპის საჰაერო ხომალდების მიერ.

### 1.2. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, აღნიშვნის სისტემა:

- ა) საშუალებას იძლევა აღინიშნოს სმმ-ს ნებისმიერი მარშრუტი მარტივი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მეთოდით;
- ბ) საშუალებას იძლევა გამოირიცხოს დუბლირება;
- გ) საშუალებას იძლევა იყოს გამოსადეგი როგორც სახმელეთო, ისე საბორტო ავტომატური სისტემებისთვის;
- დ) იძლევა მაქსიმალური შემოკლების საშუალებას ოპერატიული გამოყენებისას;
- ე) უზრუნველყოფს საკმარისი გაფართოვების შესაძლებლობას, ნებისმიერი სამომავლო მოთხოვნების გათვალისწინებით, ძირეული ცვლილებების გარეშე.

1.3. ამასთან დაკავშირებით სმმ-ს კონტროლირებადი, საკონსულტაციო და არაკონტროლირებადი მარშრუტები, გარდა მოფრენის და გაფრენის სტანდარტული მარშრუტებისა, აღინიშნება ქვემოთ მითითებულის შესაბამისად.

## 2. ინდექსის სტრუქტურა

2.1. სმმ-ს მარშრუტების ინდექსი შედგება ძირითადი ინდექსისგან, რომელსაც აუცილებლობისას ემატება:

- ა) ერთი პრეფიქსი, 2.3 პუნქტის შესაბამისად და
- ბ) ერთი დამატებითი ასო, 2.4 პუნქტის შესაბამისად.

2.1.1. ინდექსის შემადგენელი ნიშნების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ექვსს.

2.1.2. ინდექსის შესადგენად საჭირო ნიშნების მაქსიმალური რაოდენობა, შემდგენილებისდაგვარად, უნდა იყოს ხუთი.

2.2. ძირითადი ინდექსი შედგება ანბანის ერთი ასოსაგან, რომელსაც მოსდევს რიცხვი 1-დან 999-მდე.

2.2.1. ასო შეირჩევა ქვემოთ ჩამოთვლილიდან:

- ა) A, B, G, R: იმ მარშრუტებისთვის, რომელიც წარმოადგენს სმმ-ს მარშრუტების რეგიონული ქსელის ნაწილს და არ წარმოადგენენ ზონალური ნაოსნობის მარშრუტს;
- ბ) L, M, N, P: ზონალური ნაოსნობის მარშრუტებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ სმმ-ს მარშრუტების რეგიონული ქსელის ნაწილს;
- გ) H, J, V, W: იმ მარშრუტებისთვის, რომლებიც არ წარმოადგენენ არც სმმ-ს მარშრუტების რეგიონული ქსელის ნაწილს და არც ზონალური ნაოსნობის მარშრუტებს;
- დ) Q, T, Y, Z: ზონალური ნაოსნობის მარშრუტებისთვის, რომლებიც არ წარმოადგენენ სმმ-ს მარშრუტების რეგიონული ქსელის ნაწილს.

2.3. იქ, სადაც ეს მისაღებია, ძირითად ინდექსს პრეფიქსად ემატება კიდეც ერთი ასო, შემდეგის შესაბამისად:

- ა) K, იმ მარშრუტის აღსანიშნად, რომელიც გადის დაბალ სიმაღლეზე და ძირითადად დაწესებულია შვეულმფრენების მიერ გამოსაყენებლად;
- ბ) U, იმის მისათითებლად, რომ მარშრუტი ან მისი ნაწილი დადგენილია ზედა საჰაერო სივრცეში;
